N 665-09
09/07/2019

665-09-3-201907091034

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ თემურ ყურშუბაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო თემურ,

ტყის მართვის სამსახურში შესწავლილია, შპს „ჯეტ გრუპი“-ს 12.06.2019წ. №1/ა-19 და 17.06.2019წ. №1/ა-20 განცხადებები, რომლებიც ეხება ქედის სატყეო ადმინისტრაციის, მახუნცეთის სატყეოს კვარტალი №35-ის ლიტერ 1,2-ში და კვარტალი №49-ის ლიტერ 6,8-ში მდებარე ჯამში 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 1) 120 კვ.მ.- №21.01.37.660; 2) 27 კვ.მ.-№21.01.37.661; 3) 100 კვ.მ.-№21.01.37.659; 4) 371 კვ.მ.-№21.01.37.658) სახელმწიფო ტყის ფონდით რეკრეაციული დანიშნულებით, (კერძოდ: „ზიპ ლაინი“-ს მოსაწყობად) სარგებლობის უფლების 20 (ოცი) წლის ვადით ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე მინიჭების მოთხოვნას.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 19 ივნისის №213750 კორესპონდენციით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მოქცეულია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ქედის სატყეო ადმინისტრაციის მიერ შესწავლილია აღნიშნული ფართობი და 20.06.2019წ. №12/110 კორესპონდენციით წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ეკოლოგიური თვალსაზრისით რაიმე დარღვევები არ იკვეთება და არ საჭიროებს ხე-ტყის ჭრას.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო 2019 წლის 05 ივლისის №5/40365 კორესპონდენციის შესაბამისად, არ არის წინააღმდეგი ქედის სატყეო ადმინისტრაციის, მახუნცეთის სატყეოს კვარტალი №35-ის ლიტერ 1,2-ში და კვარტალი №49-ის ლიტერ 6,8-ში მდებარე ჯამში 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 1) 120 კვ.მ.- №21.01.37.660; 2) 27 კვ.მ.-№21.01.37.661; 3) 100 კვ.მ.-№21.01.37.659; 4) 371 კვ.მ.-№21.01.37.658) წერილში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისმა სამსახურებმა განიხილონ და უზრუნველჰყონ შემდგომი პროცედურების განხორციელება.

დანართი: 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე



სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური